**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — | კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 | ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 | ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — | ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 | ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 | ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — | ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 | ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 | ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 | ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 | ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 | ,, |

# ივერია

№ 187 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 187

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


**შავის ზღვის მრეწველთა კრების საბჭო** მწუხარებით აცხადებს, რომ 12 აგვისტოს გარდაიცვალა სურამში

**ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი.**

დასაფლავება დანიშნულია 14 აგვისტოს, ქუთაისს, წირვის გადახდისა და ანდერძის შემდეგ ქუთაისის საკათედრო ტაძარში. (1—1).

---

12 აგვისტოს დილით სურამში გარდაიცვალა უდროოდ

**ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი,**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **მარიამ სოლომონის ასული, შვილები: ალექსანდრა, ევგენი, გიორგი, ძმები ყარამანი** და **გიორგი თეიმურაზის ძენი.** ცხედარს წაასვენებენ ქუთაისის რკინის გზის სადგურზე შაბათს, 14 აგვისტოს, დილის 6 საათზედ. ამავე დღეს წირვის შემდეგ ანდერძს აუგებენ ქუთაისის საკათედრო ტაძარში და გამოასვენებენ დასაკრძალავად. (2—2)

---


**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

## „ივერია“

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე . . . . . 5 „ 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისაა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჭღირს:

პირველ მარიამობისთვიდამ წლის დამლევამდე ქალაქში . 2 „ 50 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 3 „ —

გაზ. ,,ივერიის'' **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.)

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საბუნჩაში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверіа“.


---

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

---

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—3.

---

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია აცხადებს

სცენის მოყვარულთა

## საყურადღებოდ,

რომ ვისაც სურვილი აქვს სახალხო თეატრს ემსახუროს, მობძანდეს ავჭალის სახალხო აუდიტორიაში 20 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (3—უ—2)

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან, თვითეულ გამოცემიდან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—9). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

---

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ქაჯანა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотноси.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**ბ. ს. ელში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჭხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს —67 საათამდე.

**ბძელიშეილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

დაზიანებული სამხედრო გემები.—სამხედრო მიმომხილველთა აზრი.—იაპონელების თეატრი.—ბალტიის ესკადრა.

„რეიტერის სააგენტოს'' წარმომადგენელს ნება აულია და რუსის კრეისერი «ასკოლდი» დაუთვალიერებია, რომელიც ძალიან ყოფილა დაზიანებული. მეზღვაურები მაინც მხნედ იყვნენ და ამბობდნენ, თუ ჩვენ გავწყდებით, მტერს ჩვენი მოადგილენი დაამარცხებენო. (ნ. ვ.)

—

სამხედრო ფლოტების ბრძოლის დროს, 28 ივლისს, «რეტვიზანი» იაპონელებმა გააცალკევეს. გარს ნაღმოსნები შემოერტყნენ და ნაღმიანი ყუმბარები დაუმიზნეს. მაშინ «რეტვიზანის» კომანდირმა გადასწყვიტა, დაეცეს იაპონიის ერთ-ერთ კრეისერს, რომელიც უფრო ახალია, დაეძგეროს ცხვირით და მილეწოს. ამ დროს გარშემოდგან ყუმბარები დააყარეს და ველარას გახდა.

«ცესარევიჩზე» ერთი დაუჭრელი აფიცერი აღარ დარჩა თურმე. როდესაც გემი კიაო-ჩაოს მიდიოდა, დახოცილ აფიცრების გვამები უნდოდათ ზღვისთვის მიებარებინათ, დამარხვის ნაცვლად, მაგრამ ვერც ერთი გვამი მთლად ვერ იპოვეს. ზოგისა თავი აღმოჩნდა, ზოგისა ხელი ანუ ფეხი და სხვა, რომლებიც ზღვაში ჩაუშვეს. (ნ. ვ.).

—

გაზეთ «ბერ. ლოკ. ანც.»-ში აწერილია ცერემონია ბაირაღის ჩამოშვებისა ჯავშნიან გემ «ცესარევიჩზე»:

ორშაბათს, 2 აგვისტოს, დილის 11 საათზედ, გემზე ავიდა კიაო-ჩაოს გუბერნატორი თავის შტაბით, დაზიანებულ და ნახევრად განადგურებულ ბაქანზედ გაჩერდა და რუსის მეზღვაურთა უფროს აფიცერს გამოუცხადა: გერმანიის მთავრობის ბრძანებითა და საერთაშორისო კანონთა მოთხოვნილებისამებრ, იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ ჯავშნისანზე ბაირაღი ჩამოიღოთ, რადგან გემი დაზიანებულია და ზღვაზე სიარული აღარ შეუძლიანო. დაუკრეს საყვირი და ბაქანზედ მეზღვაურნი შეგროვდნენ, სადღესასწაულოდ მორთულნი და შეიარაღებულნი, თოფებით ხელში. ყველას დაღალულ-დაქანცულობა ეტყობოდა. გამწკრივებულ მეზღვაურთ უფროსმა უბრძანა პატივი ეცათ ბაირაღისათვის, რომელიც ნელ-ნელა ძირს დაეშვა.

ამას შემდეგ გერმანიის გუბერნატორმა რუსის ნაღმოსნები მოიარა და ყველგან ბაირაღი ჩამოახსნევინა იმავე ცერემონიით. აფიცრები და მეზღვაურნი გულჩათუთქული იყვნენ. (ნ. ვ.).

—

«ლოკ. ანცეიგერის» სამხედრო კორესპონდენტი გრაფი პფეილი ამბობს, გენერალ კუროკიმ იმიტომ გადასწყვიტა ჩრდილოეთისკენ გალაშქრება, რომ გენერალი ლინევიჩი იქითგან არ წამოვიდეს და ზურგიდგან არ მოუაროსო. ძლივს გენერალ ლინევიჩზედაც ხმა ამოიღეს, რომელიც ნიჭიერი გენერალია და ჩინეთის ომში თავი ისახელა. საკვირველია, რომ აქამომდე გენერალი ლინევიჩი დაჩრდილული იყო. სჩანს, დადგა დრო, როდესაც გენერალ ლინევიჩს შეუძლიან წინ წავიდეს და გენერალ კუროპატკინს დაეხმაროსო. იმას ამ ჟამად 4 დივიზია ჰყავს.

იაპონიის მთავრები უნდა ნანობდნენ, რომ თავისი ჯარი გაანაწილეს და ზოგი პორტ-არტურთან დააბანდეს. მაგრამ რაკი ეს შეცდომა მოუვიდათ, ეხლა იაპონელები თავის სახელისათვის მაინც უნდა ეცადნენ, რომ ციხე აიღონ და ამით უფრო შეამცირონ და შეასუსტონ თავის ჯარი, გენერალ კუროპატკინის ლაშქარზე მისუ-

ლი. იაპონელთა ჯარის მთავარ-სარდალს ეხლა რომ პორტ-არტურთან დაბანდებული 4 დივიზიაცა ჰყავდეს, მაშინ ადვილად დაეცემოდა გენერალ კუროპატკინს და იქმნება დაემარცხებინა კიდეც.

ეხლა კი გვიანღაა და ამას შემდეგ ყოველ დღე იაპონელებს თანდათან გამარჯვების იმედი უნდა უქარწყლდებოდეთ, რადგან გარემოება მათ ხელს აღარ უწყობსო.

გრაფ პფეილს ჰგონია, რომ პორტ-არტური ჯერ კიდევ დიდხანს გასძლებს და მანამდე კი გენერალი კუროპატკინი მარშალ ოიამას დაამარცხებსო. (ნ. ვ.).

—

ფრანგულ გაზეთ «ტანში», რომელიც რუსეთის მომხრედ ითვლება, დაბეჭდილია კორესპონდენცია ტოკიოდგან, რომელშიაც დასურათებულია იაპონიის ხალხის გრძნობა-გონების მდგომარეობა ამ ომის გამო. უნდა აღვნიშნოთო, რომ თეატრები იაპონიაში ამ ჟამად დიდძალ ხალხს იზიდავს პატრიოტულის პიესებით, თუ მეტადრე შიგ ომის სცენებიც არის ჩართული. რაც მეტი სისხლი იღვრება პიესაში, მით იაპონელებს უფრო მოსწონთ. ამისთანა სისხლის ღვრის სცენები არა თეატრში არ მინახავსო. არტისტები იბრძვიან, ერთმანეთს დანებს ატაკებენ გვამში და, ვიდრე მოკვდებოდნენ, რამდენსამე ხანს სულთ-მობრძაობენ, ხან 5 წუთზე მეტს იხვლანჯება არტისტი, როგორც მომაკვდავი, და ეს ძალიან მოსწონს ხალხსაო. სისხლი სჩქეფს სცენაზედ, მთელი ნაკადულები იღვრება და მაყურებლები აღტაცებაში მოჰყავსო. ამისათვის ბევრი რამ არ არის საჭირო: არტისტი მხოლოდ ოდნავ ხელს მოუჭერს სისხლის ფერად შეღებილ წყალს და ნამდვილ დაჭრას წარმოადგენსო. ამისთანა სანახაობა მარტო მამაკაცებს კი არა, მანდილოსნებსა და ბავშვებსაც მოსწონთ. ამგვარად იაპონელები პატარაობიდგანვე სწავლობენ სამხედრო ხელოვნებას და სისხლის ღვრას თვალს აჩვევენო. (ნოვ.).

—

«ტაიმსში» დაბეჭდილია საერთაშორისო კანონების ცნობილ პროფ. ვესტლეკის წერილი სამხედრო კონტრაბანდის შესახებ. პროფესორი ურჩევს ინგლისის მთავრობას, თუ რომ რუსეთის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთისკენ წავა, ნებას ნუ მისცემ, რომ გზა-გზა ინგლისის ნავთსადგურებში ქვა-ნახშირი მოიპოვოსო. თვის რჩევას პროფესორი იმაზედ აფუძნებს, რომ თვით რუსეთმა გამოაცხადა, ქვა-ნახშირი სამხედრო კონტრაბანდად მიგვაჩნიაო. ამიტომ სანეიტრალო სახელმწიფოებს სრული უფლება აქვთ არ მისცენ რუსის სამხედრო გემებს ქვა-ნახშირი, რომელიც თვით რუსეთის მიერ კონტრაბანდად არის აღიარებულიო.

ამ წერილის ავტორს გაზეთი «ტაიმსი» ეთანხმება და თანაც ამბობს, მოსაფიქრებელი არ არის, რომ რუსის ესკადრა ეხლა შორეულ აღმოსავლეთს წავიდეს, რადგან, ვიდრე ის იქამდე მიაღწევს, ვლადივოსტოკის ნავთსადგური მოიყინებაო. (ნ. ვ.).

—

შვეიცარიის სამხედრო აგენტი ოდეუ იძულებული შეიქმნა შორეულ-აღმოსავლეთიდგან შინ დაბრუნებულიყო. ამ ამბის გამო, თუმცა ამ აფიცრის დაბრუნების მიზეზი ჯერ გამორკვეული არ არის, შვეიცარიის აფიცერთა საზოგადოებამ გადასწყვიტა, თავის ამხანაგს თავისი თანაგრძნობა და პატივისცემა გამოუცხადოს. (ვ. ვ.).

# ტფილისი

—

დეპეშიდგან უკვე ვიცით, რომ კავკასიის მთავარ მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს უმაღლესად ებოძა ორდენი წმ. ვლადიმერის პირველ ხარისხისა. როგორც „კავ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, გამოქვეყნებულ იქმნა თავ. გოლიცინის სახელობაზე შემდეგი უმაღლესი გრამოტა:

«თქვენი თავდადებული და ძლიერ ძნელი მოღვაწეობა მრავალ-ტომიან კავკასიის მართვა-გამგეობის საქმეში, უფლებას გაძლევთ მიიღოთ ხელმწიფის მადლობა. ამის სახსოვრად და აგრედვე ჩემის თქვენდამი კეთილ-განწყობილების აღსანიშნავად, უმოწყალესად გვიბოძებია კავალრობა ჩვენის საიმპერატორო ორდენის წმიდა მოციქულთა სწორის მთავრის ვლადიმერის პირველ ხარისხისა, რომლის ნიშნებიც ამასთან გეგზავნებათ. გიბრძანებთ, გაიკეთოთ ეს ნიშნები და ატაროთ წესისამებრ. დავშთები თქვენი მუდამ მწყალობელი». ნამდვილზედ მისის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

«ნიკოლოზ».

*** ხვალ, 15 აგვისტოს, დღეობაა სიონის საკათედრო ტაძრისა (სიონობა); დღეს საღამოს კი იქნება ღამის თევითი ლოცვა «დაუჯდომელით», ხოლო ხვალ, 15 აგვისტოს, წირვა-პარაკლის გარდაიხდის ექსარხოსი ალექსი ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსის ექვთიმეს თანამსახურებით.

*** მოსკოვში დაარსდა დედათა უმაღლესი საადმშენებლო კურსები. ასეთი სასწავლებელი პირველია მთელს რუსეთში. ამ სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ მიენიჭებათ ხარისხი ხუროთ მოძღვრობისა (არქიტექტორი). კარგი იქნება ჩვენი ქალებიც შეისწავლიდნენ ამ მეცნიერებას, ჯერ მათთვის უცნობ ხილს.

*** გუშინ-წინ, 12 აგვისტოს, რკინის გზათა გამგეობის მთავარმა კასსირმა მონახოვმა, იმ დროს, როდესაც მატარებლების მეარტელემ 9 აგვისტოს ნავაჭრი ჩააბარა, აღმოაჩინა, რომ ვიღასაც ყალბის დეპეშით მიუღია 840 მან.; დეპეშა ყოფილა ბაქოს მეარტელეს სახელზედ ვითომდა უფროს კასირისაგან გამოგზავნილი. დეპეშით თხოულობდნენ, რომ მიეცათ ფული კოკოვცევისათვის იჯარადარ ბალაევის ანგარიშში (ამნაირ გვარის იჯარადარი რკინის გზაზედ არ არსებობს). დეპეშას ზედ ეკრა შტემპელი: «ბალაჯარის სადგურის უფროსი» და ბოლოში კიდევ ამ სადგურის უფროსის მიმსგავსებულის ხელით ეწერა სახელი და გვარი. ფული მიუღია კოკოვცევის გვარით ვიღაც ახალგაზდა კაცს, ტეხნიკის ფორმაში გამოწყობილს.

*** ტფილისის მოქალაქეთა კრებამ დაადგინა, ყოველი რწმუნებული, რომელიც არა საპატიო მიზეზისა გამო სხდომას არ დაესწრება, დაჯარიმებულ იქმნას 10 მ., სასჯელთა დებულების მე-1436 მუხლის თანახმადაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინი გზათა გამგეობამ საჭიროდ სცნო, რომ ჩვეულებრივ კონდუქტორებს გარდა, ყოველ სამგზავრო მატარებელში იყოს საკმაო რიცხვი ფერშალ-კონდუქტორთა, რომ, თუ ვინიცობაა ავად გახდა რომელიმე მგზავრი, სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ. ამას გარდა, მატარებლებში იქმნებიან აგრეთვე კონდუქტორი-ტელეგრაფისტებიც. ამ წესებს შემოიღებენ მომავალ 1905 წლიდგან.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა და პრინციპიალურად შეიწყნარა ქუთაისის ქალაქის შუამდგომლობა 475 ათას მანეთის საობლიგაციო სესხის აღების შესახებ. ამ სესხიდან ქალაქს სურს მისცეს ძირითადი თანხა ქუთაისში განზრახულ ქალაქის საზოგადო ბანკსა და ლომბარდს, გამართოს ელექტრონის განათება და ტელეფონი, მოჰკირწყლოს ქუჩები და სხვა; მაგრამ სამინისტროს ეხლანდელი დრო საკეთილოდ არ უცვნია სესხის რეალიზაციისათვის. ამის გამო საქმის გადაწყვეტამდე სამინისტრომ დაადგინა, წინადადება მისცეს ქუთაისის ქალაქის თვით-მმართველობას, განიხილოს საგანი ობლიგაციების რეალიზაციის შესახებ. მთავრობა რეალიზაციის დროს დახმარებას ვერ გაუწევს ქალაქს.

*** კვირას, 15 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ექიმ მირზოევთან ერთად, მცხეთაში მიემგზავრება ადგილობრივ სანიტარულ მდგომარეობის გამოსაკვლევად.

*** ამიერ-კავკასიის ოლგას საბებიო ინსტიტუტის შესაკეთებლად, როგორც კავკასიის სამკურნალო გამგეობის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, საჭიროა 2,382 მან. ეს ხარჯთ-აღრიცხვა 11 აგვისტოს წარედგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს.

*** ოთხშაბათს, 11 აგვისტოს, როგორც გვატყობინებენ, სოფ. ავლევში (გორის მაზრა) ოსებს მოუკლავთ გორელი შეძლებული მემამულე და ვაჭრის შვილი—გლეხი დიმიტრი ოთარიძე.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ 11 აგვისტოს განიხილა განცხადება ქალაქის სამკურნალოს ავადმყოფის განყოფილების ბებიაქალის ნინო მგელაძისა. მგელაძემ ქალაქის მოურავის მოადგილეს აცნობა შემდეგი: 29 ივლისს, პოლიციის მე-10 ნაწილში, სურამის ქუჩაზედ, კოზლოვსკის ბინაზედ, სადაც სტუმრად ვიმყოფებოდა, დილის 11 საათზე, როცა შინ არ იყო ბინის პატრონი, შემოვიდა უცნობი კაცი, როგორც შემდეგ გავიგე, სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტი გ—ლი, რომელსაც თან ახლდა უბნის ზედამხედველი ნასკიძე, (ჩვენის აზრით, სანიკიძე უნდა იყოს). გ—მა გამომიცხადა, მე აგენტი ვარ ბინების გადასახადთა საკრებულოსი და რადგანაც სახლის პატრონი დროზედ გადასახადს არ იძლევა, ქირა უნდა შევუკრათ. აგენტსა და პოლიციელს ავუხსენი, რომ ბინის პატრონი შინ არ არის-მეთქი, ამასთან ვასწავლე მიემართნა საჭირო ცნობებისათვის იქვე მეეზოვესა ანუ სახლის პატრონისათვის. ამას შემდეგ ისინი გაბრუნდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ აგენტი ხელ-ახლა მოვიდა; თან ახლდა უბნის ორი ზედამხედველი—ნასკიძე და გემბერგი, ერთი პოლიციელი და მეეზოვე. ესენი აივანზედ ამოვიდნენ, მკითხეს ვინაობა და მოინდომეს შემოსვლა, რაზედაც წინააღმდეგობა განვაცხადე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამის უფლება არა ჰქონდათ, და მეორე—ეშინოდა (?) ავიდე, ცუდს ხომ არას მიპირებენ-მეთქი. პოლიციელების მოთხოვნილება ჩემის ვინაობის მხრივ ავასრულე, ავუხსენი, რომ სამკურნალოში ვმსახურებ, მაგრამ პოლიციის მოხელე გემბერგი ამას არ დაკმაყოფილდა, მომმვარდა პოლიციელი და მტაცა ხელი; მეეზოვემ ტალახიანის ხელით პირი მომიკუმა; ჩემს წივილ-კივილს ყურადღება არ მიაქციეს, ეტლში ჩამაგდეს საშინაო იუბკითა და კოფტით და პოლიციის მე-10 ნაწილში წამათრიეს. აქ პოლიციელები მეტად უდიერად მომექცნენ და სულ «შენობით» მელაპარაკებოდნენ. მისადებ ოთახში შემაგდეს და სამი საათი მამყოფეს იქ. სამის საათის შემდეგ ბოქაულმა გამომიცხადა, თავისუფალი ხარო და შეგიძლიან წახვიდეო. ქალაქის გამგეობამ ამ განცხადების გამო დაადგინა: დროებით გადაყენებულ იქმნას სავაჭრო პოლიციის აგენტი გ—ლი და დაინიშნოს ამ საქმის თაობაზედ გამოძიება; ეცნობოს ტფ. პოლიცმეისტერს მე-10 ნაწილის პოლიციელთა საქციელი და გადაყენებულ აგენტის მაგივრად მოწვეულ იქმნას გამოძიების გათავებამდე სხვა აგენტი.

*** 9 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე, ძლიერის წვიმის დროს, ორმა ბოროტ-მოქმედმა გასტეხა ტფილისში ალექსანდრეს ბაღის ბოლოში არსებული სანთლის საწყობი, რომელიც მოთავსებულია ეკკლესიის გვერდით, მეტად პატარა ოთახში. საწყობის გამგე, მიხეილ ხიმშიაშვილს, დაეკეტნა საწყობი და სადღაც საჭირო საქმისთვის წასულიყო. საწყობში დაეტოვებინა ანთებული სანათი: მობრუნებისას გამგემ შორიდგან შეჰნიშნა, რომ საწყობის ფანჯარა ღია იყო და ერთი კაცი ფანჯრის ახლო იდგა. ხოლო მეორე სარკმელიდან ხელებს საწყობის კასსაში აფათურებდა, ისე რომ ფეხები და ნახევარი ტანი გარედ ჰქონდა. დაინახა თუ არა ეს მიხეილ ხიმშიაშვილმა, მსწრაფლ მიიჭრა ქურდებთან და სტაცა ხელი სარკმელში გადაყუდებულს, გადმოაგდო ძირსა და დაუწყო ცემა. ამ დროს ქურდის ამხანაგმა მაგარი კეტი დასცა კისერში ხიმშიაშვილს და გაიქცა. ამასობაში ძირს დაცემული ქურდი ზეზე წამოდგა და შეებრძოლა ხიმშიაშვილს. მაშინ მიხეილ ხიმშიაშვილმა ხმა მაღლა ქუჩის ასისს (დარაჯს) დაუძახა, მაგრამ ეს უკანასკნელი არსად სჩანდა... ყვირილზე ხალხი მოგროვდა. ხიმშიაშვილმა ხელმეორედ დასცა ძირს ქურდი და ჯიბიდან ამოაცალა დანა, გასაღებები და ქლიბი. შემდეგ ქუჩის ასისიც მოვიდა და ქურდი დაპატიმრებულ იქმნა. ფული ქურდს არ აღმოაჩნდა. დაკარგულია 68 მან. და 53 კაპ.; ალბად დაჭერილმა ქურდმა, სანამ ხიმშიაშვილი მოუსწრობდა, ფული თავის ამხანაგს გადასცა. დაჭერილი ქურდი აღმოჩნდა თოროზოვი, გორელი სომეხი. უბნის ზედამხედველმა, თავ. ბეგთაბეგოვმა, რომელიც საჩქაროდ გაჩნდა საწყობთან, იქვე შეადგინა ოქმი. მესამე უბნის ბოქაულმაც თავის მხრით შეადგინა ჯეროვანი ოქმი და წარუდგინა გამომძიებელს. ხიმშიაშვილის გარდა, ქურდი იცნო მეზადემაც.

# საქართველოს ამბები

—

ქალაქ ოზურგეთიდგან გვწერენ შემდეგს: „აგერ მეოთხე წელიწადია, რაც ოზურგეთში დაარსდა «კერძო დედათა პროგიმნაზია», რომელშიაც ყოველთვის საკმაო რიცხვი სწავლობდა მოწაფე ქალთა და კარგი სარგებლობაც მოჰქონდა სწავლის მხრივ სასწავლებლებით ღარიბ ოზურგეთისათვის. ჯერ-ჯერობით სამი კლასი იყო მხოლოდ და წელს მეოთხეც უნდა მოემატებოდა, მაგრამ ეხლა ამ სასწავლებლის უფროსი ქ-ნი სოფ. ქარციძე, რომელიც ამ ბოლოს დროს განაგებდა პროგიმნაზიას, თავს ანებებს ამ სკოლას და სურს სხვას გადასცეს, თუ კი ვინმე გამოჩნდება მსურველი, რომ იკისროს სრულიად ამ პროგიმნაზიის გამგეობა-უფროსობა, რათა სკოლამ კვლავ განაგრძოს თვისი არსებობა. მეტად სასურველია, რომ ვინმე გამოჩნდებოდეს და მიიღებდეს ამ საქმეს თავის თავზედ, რომ უდროოდ არ მოისპოს სიცოცხლე ამ პროგიმნაზიას; დარწმუნებულნი ვართ, არაფერს წააგებენ და დიდ სარგებლობასა კი მოუტანენ მთელს ოზურგეთის მაზრას, რადგან, პროგიმნაზიის მოსპობის შემდეგ, მოწაფე ქალები სრულიად სკოლის გარედ უნდა დარჩნენ. არ იქნება ურიგო, რომ ოზურგეთის ქალაქის გამგეობაც მიაქცევდეს ამ საქმეს ყურადღებას და რასმე მოაგვარებდეს».

◆ სოფ. ყაზბეგის მცხოვრები სოლომონ ფიცხელაური შუამდგომლობდა მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ 1888 და 1889 წლებში გზად მიმავალს ჯარს შეშასა და თივას ვაძლევდით და ამის ფული კი დღესაც არ მიმიღიაო. მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა, ინფანტერიის გენერალმა ა. ა. ფრეზემ, უყურადღებოდ დასტოვა სოლომონ ფიცხელაურის თხოვნა. მთავარ-მართებლის კანცელარიამ ეს განკარგულება 10 აგვისტოს აცნობა ტფ. გუბერნატორს და სთხოვა, საჭირო განკარგულების მოხდენა.

◆ აზნაურს გიორგი მირონაშვილსა და დუშეთის მაზრის სოფ. ვილდას მცხოვრებს დავით ელიაურს უმაღლესად ებოძათ ვერცხლის მედლები ვლადიმერის ლენტით მკერდზედ სატარებლად, ზედწარწერით: «განწირულთა დახსნისათვის».

◆ სიღნაღის მაზრის სოფ. ყანდაურში საქონლის ჭირი გაჩენილა—ჭირი სოფ. კაკაბეთიდგან გადასულა კანდაურში.

### † ალექსანდრე ნანეიშვილი

(ნეკროლოგი)

კიდევ უდროვო სიკვდილი, კიდევ დასაკლისი, კიდევ მსხვერპლი!

თითქო ჩვენის საზოგადო მოღვაწეებისათვის მოიცალა სიკვდილმაო! ეს მეხუთე მახლობელს, მეხუთე თანამოკალმესა და თანამოსაგრეს უნდა გამოვეთხოვოთ წელს.

მეხუთე კაცს, მეხუთე მოამაგესა და ქვეყნის მოჭირნახულეს დაეხუჭა თვალნი, მხედველნი ჩვენის ჭირისა და ვარმისა, დაეკრიფა გულზედ მკლავნი, ჩვენთვის დამაშვრალნი, დაუდუმდა ბაგენი, მეტყველნი და მქადაგებელნი სიმართლისა, პატიოსნებისა, სიყვარულისა, შეუწყდა ცემა გულისა, რომელიც თავის სამშობლოს სიყვარულით სძგერდა, მის სიხარულით ხარობდა, მის მწუხარებით იმჯიღებოდა, ჰკვნესოდა, იდაგებოდა!

არ გვაკმარა დასაკლისად ლადო, სოსიკო, პეტრე, სამსონ და წაგვართვა საშაც, ძვირფასი ძმა და მეგობარი, დაუფასებელი, ყოვლად უწყინარი ამხანაგი, მშვიდი, წყნარი, ბრგე და ახოვანი, თვით განხორციელება სიკეთისა, ჭკუისა, გონებისა, დაუვიწყარი ნანი.

დიაღ, ნანი აღარა გვყავს, 12 ამ თვეს გადაცვლილა სურამში, კორტოხს ახლო,

# ფელეტონი

—

### რ უ ს თ ა ნ...

(ლექსი პროზად).

ვეღარ გავუძელ, მობუტბუტე რუო ანკარავ, ქვეყნის ჭირ-ვარამს, უსამართლობას, ძალ-მომრეობას და შენსა ნაპირს მოვადექი, ჩემო მდინარო, რომ იქნებ შენით მოვიპოვო შმაგმა მშვიდობა. გული გასივდა, დაკოდილი უნდოთა ლახვრით... სისხლიც შეჰგუბდა, ჰაერიცა ყელში მეჩხირება... მსურს მე სიცოცხლე, მსურს მე ხილვა სულის კვეთების დასასრულისა, მაგრამ საით, სულ მთლად დამაღრჩვეს.. სიტყვა ვის ვუთხრა, ვის მივმართო, ვინ გამიგონებს? ყველა მონაა ყრუთა კერპის, ბრმათა სავანის, მონა კაცისა, სტიქიონის, მონა მაძონის სილატაკისა... ზოგიც კიდევ ზეცას შესტირის, თითქმის იქ რამე დაჰკარგოდეს, ჰგოდებს, ლუღლუღებს, აგერ მუხლმოყრით... არა... არა... მძაგს ეს ყოველი და შენ, მხოლოდ შენ შემოგიდექ, ჩემო ანკარავ, და ნუ თუ შენგანაც სიმწარისა შევსვა ფიალა?... ნუ... ნუ, ანკარავ! ნუ ანკარავ! ნუ იქმნები ეგზომ უწყალოდ... შესდექი ერთ წამს, შეისვენე, ცელქო!... ოჰ, ღმერთო!... მე სუსტი არ ვარ, საიდუმლოს ნუ დამიმალავ.. ჰოი, ანკარავ! გევედრები, რას უთხრობ იას, ვინც შენსა ნაპირს, ვითა სატრფოს, ჩაჰკონებია; ვით ბროლის თითნი, ფერით მკრთალსა და სუნნელოვანს, თვისი ფესვები შენს ზვირთებში ჩაუგზნებია... მარქვი... მითხარი... შეისმინე, გთხოვ, გეაჯები, ჰე, ნებიერო, უშიშარო, შეუპოვარო! ჩემსკენ ისროლე წმიდა, ცელქი შენი ტალღები, რომ გონების ძალთ, დაბნეულთა, გზაარეულთა, ღონე მიეცეს შეერთების და გამკლავების... ნუ დაიშურებ ჩემთვის ღონეს, ნურცა დროს, ჟამსა, და წამლად რამე უსაშველე ობოლს სრულიად...

— წანწკარ-წკარ-წკარ-წკარ,—ბუტბუტითა ხმა გამცა რუმა.—«ყური დამიგდე, მხოლოდ ეს სთქვა ცელქმა, გიჟმაჟმა; კლდეს ტალღა დაჰკრა, დააშვავა და შეისვენა. დახე!... დაგუბდა... ეხლა რას იქს,—ყური დავუგდო... ჰოი, ანკარავ! აგამღვრიეს?... არ მოგასვენეს?... მაგრამ... საით? აღარ უშვებს გორა წყეული... რუ კი არ სცხრება... პა-პა-პა-პა, გაშმაგებულა!.. ვერ მოვითმინე და შევყვირე აღელვებულმა: მითხარი რამე, გამიგონე, გიშველი-მეთქი! მაგრამ «მშვიდობით»,—მიპასუხა შმაგმა და ხელმა, მკერდი გაუპო კლდეს გულცივსა, კლდეს დაყუდებულს, და მისის ლეშით, ვით მეწყერმა აღიდებულმა; «ჩამომეცალეთ! რაღას დგეხართო», გასძახა კლდეთა...

რიჟრაჟი იყო... აღმოსავალს შარავანდედი გადაჰფენოდა და ლაჟვარდი, ცისა კამარა, ტანჯულ სამყაროს, მოქანცულსა, გულ-დაწყვეტილსა, გასალვიძებლად შუქსა თვისსა მიმოაფენდა. თითქოს ცის კიდურს, ჰორიზონტსა ცეცხლი დაენთოს, მზე დიდებული ცის კამარს სხივით ჰკაზმავდა და შავ-უკუნი ღრიანცელით, ხნაცვით, წყვდიადის ტალღებს, მუნ შეფარულს, ერეკებოდა... შესვა, შესუნთქა სინათლემა გარშემო ბნელი უფსკრულით, ზიზღით დევნული მზისა სხივით, ცისკრის ნათელით... ტოროლა ცაში ადიოდა, ჩამოდიოდა და ღამის ცვრითა დანერწყვულსა, სხივით მბრჭყინვავსა, ძირს მწვანეს, მარგი, დაჰკვნესოდა ჟრიამულითა... ბულბული სატრფოს თვისსა, ვარდსა, მოჰმორებოდა... საერთო შვებას შეჰხაროდა ღამით დამწვარი, და რუ, ანკარა, წანწკარითა მინადინარი, ველს, მინდორს, კორდებს ავსებდა სიხარულითა... ჩუ... დაჰკრა სიომ... აშრიალდა სულ მთა და ველი... წუთიცა ერთი, და ყოველი სდუმდა გარშემო... კვალად სიჩუმე, ვითა წინად, რიჟრაჟის ჟამსა; თითქოს დამუნჯდა დედამიწა, მისი ყოველი... ტოროლა დასცხრა... მზე ბრწყინვალებს... მხოლოდ ანკარა ჩუხჩუხ-წანწკარით თვის გულის თქმათ თვისთა ნაპირთა უზიარებდა მუნჯურ ენით, აღტაცებული. ტალღას პატარას, ტალღას ცელქსა არეს ესროდა.., იქ, თვის ნაპირას, ის მკერდში ჩაეხვეოდა და შემდეგ ისევ დუდუნითა გზას განაგრძობდა... ოჰ! წარმიტაცა იმან გული, სული აშფოთდა... რა ვართ ჩვენ, კაცნი, რისთვის გვქვიან მერე მეტყველი?... შემძაგდა თავი, როს ვხედავდი რუს ნებიერსა, რუს შეუპოვარს, უშიშარსა, სადღაც კლდის პირით აღმონახეთქსა, წმინდას ვითა ციურნი ცვარნი... ჰოი, განგებავ! ღმერთო, ღმერთო!. რა ცეცხლში არის...

შორს კი... უფსკრულში, მის ბრძოლის ხმას გრგვინვა გაჰქონდა... დაძლეულ კლდისა ხმა საზარი, ხმა სინანულის მთლად არემარეს ავსებდა ხმაურობითა. შეკრთა ყოველი... რა ნაიმა შეითამაშა, ხმა ეგე ცაში გაიფანტა, სადღაც შთაინთქა... ისევ ის გული, იგივ შფოთვა, იგივ კვეთება... ისევ ჭიკჭიკი ტოროლისა, ტყეველთ შრიალი... ისევ ცისკარის მოლოდინი... მოიჩა... გათავდა...

კარ. ვაკეჯურელი.

დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს საზღვარზედ, თითქო იმის ნიშნად, რომ განსვენებული ღვიძლი შვილი იყო ერთის დედა საქართველოსი, რომელსაც ერთნაირად ტკბილად უწოვებია ორივე ძუძუ თავის ჭეშმარიტის ძისათვისაო.

ეგრეც იყო! მისმა ჭაბუკობამ, მისმა ვაჟკაცობამ, მისმა შრომამ და ღვაწლმა ჩვენის ცხოვრებისა და ლიტერატურის სასარგებლოდ, ჩვენს თვალ-წინ განვლო. თითქმის ხუთი წელიწადი ერთსა და იმავე უღელში ვიყავით ჩაბმულნი, სწორედ ამავე «ივერიას» ვემსახურებოდით, და ამ ხნის განმავლობაში ღრმად დავრწმუნდი, რომ განსვენებული იყო ყოვლად მაღალის სულისა და ყოვლად კეთილის გულის კაცი. მისს მაღალს ზნეობას ვერ შეჰბღალავს თვით განხორციელება შურისა და ბოროტებისა.

განსვენებულ ალექსანდრე ნანეიშვილის უმწიკვლო და უზადო ცხოვრება და მოქალაქეობა მარტივია, ჩუმი, უეფექტო, მაგრამ აზრიანი, სასიკეთო, ღირსეული, მნიშვნელოვანი.

პეტერბურგიდგანვე, საცა სამკურნალო აკადემიაში სწავლა ვერ დაამთავრა ხელმოკლეობისა გამო, დაიბარა წერა-კითხვის საზოგადოებამ 1881 წლის დამდეგს ბათუმის ახლად დაარსებელ სკოლის მასწავლებლად. შემოერთებულ ჩვენთა ძმათა შორის საჭირო იყო დატრიალებულიყო დინჯი, მშვიდობიანი, აუჩქარებელი და გონიერი ყმაწვილი კაცი და ასეთ კაცად საზოგადოების გამგეობამ განსვენებული დაასახელა. შესამჩნევი და ღირსეული კაცი, რომელიც მაშინვე იღებდა მონაწილეობას მწერლობაში, დიდხანს არ დააყენეს ბათუმში და ტფილისში იქმნა გადმოყვანილი საადგილ-მამულო ბანკის კასსირად. 1890 წლებში იგი იქმნა დანიშნული ქუთაისის ბანკის დამფასებლად დაჰყო ამ ადგილზედ თითქმის 6 წელიწადი და მხოლოდ კალისტრატიზმის დროს დაანება თავი ამ სამსახურს და დაინიშნა შავის ქვის მრეწველთა საბჭოს მდივნად და იყო ამ ადგილზედ უკანასკნელ აღმოსუნთქვამდე.

5—6 წლის წინად გაუჩნდა იგივე სენი, რომელმაც წაგვართვა სამსონ თოფურია და რომელმაც აღარ გაახარა განსვენებულიც, თუმცა ბევრს ეცადა, საზღვარ-გარედაც იყო სამკურნალოდ და ყოვლად ზომიერს ცხოვრებასაც ატარებდა...

ასე გაგვიქრა ხელში კაცი, რომელმაც 25 წელიწადზედ მეტი იღვაწა თავის ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ღვაწლითა კეთილითა და რასაც აკეთებდა საქმით, ერთი ორად მეტს აკეთებდა, მაგალითით, კეთილის ხასიათით, პატიოსანის ცხოვრებით, ყოვლადის მოუსყიდველობით.

ღმერთმა ყოველს ქვეყანას მისცეს მრავლად იმისთანა პატიოსანი, დაფიქრებული და დაბრძენებულნი მუშაკნი, როგორიც იყო განსვენებული, არამც თუ ჩვენს საწყალს საქართველოს, რომელსაც ასე უჭირს ნამდვილნი და ჭეშმარიტნი მამულიშვილნი!

მშვიდობით, ძმაო საშა, მშვიდობით! ეგეც მარგუნა ბედმა წილად, რომ მე, შენს მახლობელს მეგობარს, შენის სიკვდილის ამბით გულ-დაწყვეტილსა და თვალცრემლიანს, უნდა ამეღო კალამი ხელში და, გონება-დაკარგულს, დამეწერა, ძალაუნებურად, შენი ნეკროლოგი.

ასე უსამართლოა წუთი-სოფელი, ასე შეუბრალებელია, ასე განუკითხველია სიკვდილი!

ნუგეშად ის-ღა გვრჩება, რომ შენ იყავ ადამიანი, ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანი.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

გრ. ყიფშიძე.

---

## კახელ მევენახეთა საყურადღებოდ.

(წერილი რუსეთიდან)

«მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგიღევს სინათლესაო», — ქართული ანდაზაა ნათქვამი. წმიდა სახარება და საღმრთო წერილი სულ იმას გვიქადაგებს, იყვენით მართალნიო და ეს ანდაზა კი ასე უთქვამს ხალხს. რისთვის და რად? მე ამაზედ აქ არას ვიტყვი და მხოლოდ ეს ანდაზა კი სწორეთ დღეს კახელ მევენახეებზედ სრულდება.

საწყალი კახელი მევენახეები სცდილობენ, თუ რანაირად დააყენონ ბუნებითი, ნამდვილ ყურძნის წვენის ღვინო, რომ რიგიან ფასში გაჰყიდონ და კარგის ღირსების ღვინო მიაწოდონ ხალხს, მაგრამ რა გამოვიდა, სულ ტყუილად. ვინ არის დამფასებელი და მცნობი? მარტო ტფილისი არ კმარა ბაზრად კახურის ღვინისთვის, თუ გარეთაც არ გავიდა, მაგრამ არც გარედ გამტანი არის ვინმე და არც ბაზრის გამკეთებელი.

აკი რასაც ბაზარს უკეთებენ გასავალიც აქვს. მაგალითად ავიღებ ზედაშედ სახმარებელ ღვინოს მთელს რუსეთში: ერთნაირი წითელი ღვინო, (ისიც არ ვიცი მართლა ღვინოა, თუ არა), რომელიც არის შეზავებული შაქრითა და სხვა და სხვა წამლებით, ისე ტკბილია, რომ იმაზედ უტკბესი მგონი თაფლიც არ იყოს, მიღებულია ზედაშეთ სახმარებლად, რომელსაც უწოდებენ „Церковное вино»-ს, იარლიკზედაც ასრე აწერია. ეს ღვინო დიდძალი საღდება მთელს რუსეთში, როგორც ზედაშეთ, ისრე სასმელათ, და ნამდვილი კახური თავი ღვინო რომ უჩვენო ზედაშეთ, მასხარად აგიგდებენ, ამაზედ წირვა როგორ შეიძლებაო? სუფრაზედ თუ უჩვენე ეს ღვინო და უთხარი: ნამდვილი კახური ღვინოაო, მოსწონს. „Даа, очень хорошее, крѣпкое вино“-ო და, თუ ამავე ღვინოზედ წირვა გაუხსენე, ოჰ, როგორ შეიძლებაო.

ისრე არის დარწმუნებული მთელი სამღვდელოება, რომ ეს ტკბილი ღვინო საგანგებოდ დამზადებულია ზედაშედ სახმარებლად ნამდვილ ყურძნის წვენისაგან და არავითარი რამ არ ურევია. ერთს სამღვდელოს ვკითხე: გაგონილა ასეთი ტკბილი ღვინო? შეზავებულია სხვა და სხვა ნივთიერებით და ამაზედ წირვა ხომ არ შეიძლება ეკკლესიურ ტიბიკონითა-მეთქი? მან აი რა მიპასუხა: „ჰმ, არა გცოდნია ღვინისა არაფერიო! როდესაც ყურძენს სწურავენ, პირველს წვეთებს, რომელიც ტკბილია, სულ ზედაშეთ სახმარებლად იღებენ და შემდეგს კი სასმელათაც და ის პირველი წვენია ეს ტკბილი ღვინოო“. „ქმარი ლაშქარში იყო და ცოლი ამბავს უამბობდაო“, რომ იტყვიან, სწორედ ესაა. რომელ სამღვდელოსაც კი საქართველოში უმსახურნია, ის სცნობს, რა არის კახური და რა არის ეს ტკბილი ღვინო და ეძებს მუდამ კახურ ღვინოს. თვით მიტროპოლიტებიც კი დღეს ყველანი კახურს ხმარობენ. მაგრამ ყველა საქართველოში სად გავგზავნოთ შესასწავლად. აი ამისათვის გვინდა კაცი და საზოგადოება, რომ გააცნოს და ბაზარი გუკეთოს ნამდვილ კახურ ღვინოს. მარტო რომ ზედაშედ იხმარებოდეს კახური ღვინო მთელს რუსეთში, მგონი, ზედაშედაც არ ეყოს, არამც თუ სასმელად ხალხში.

საქართველოდგან წამოსულ მოვაჭრეებისა რა მოგახსენოთ, როგორ ღვინოს ჰყიდიან რუსეთში და, ადგილობრივ მოვაჭრეთაგან თუ სადმე კახური ღვინო, ღმერთმა შეინახოს. ვინმემ კახური ღვინის ქებით რომ მოიწადინოს და სთქვას: ერთი თუ არ ვნახე ეს კახური ღვინო რა გემოსიაო და ამათგან იყიდოს და დალიოს, შენი მტერი, რომ სამუდამოდ დაფრთხება და იტყვის: ამას როგორ აქებენო; და კარგიც რომ ურჩიო, ზედ აღარ მიეკარება. მართლაცა და ჰნახავთ ადგილობრივ მოვაჭრეთაგან, რომ იარლიკზედ კახური ღვინო აწერია, ნახავთ გემოთი და—როგორც მე არა ვარ ჩინელი, ისე ის ღვინო არ არის კახური.

ასეა დღეს კახელ მევენახეთა საქმე დაყენებული და მიტომ უდგიათ ხელ-უხლებლად ქვევრებში ნამდვილი ღვინო და ვერ ასაღებენ. სხვანი კი შაქარ-წყალს ფასად ასაღებენ. ბევრჯელ იყო ლაპარაკი, როგორც მახსოვს, და გაზეთებშიაც იწერებოდა, რომ იჯარით აელო ვისმე ეკკლესიებში სახმარებელი ღვინო, მაგრამ ეს საქართველოდგან ვერავინ გაჰბედა, რომელიც ბუდეა ღვინისა. ალბად მიზეზიც ეს იყო, რომ ეკკლესიაში სახმარებელ ღვინოს, რომელსაც ჩვენ ზედაშეს ვეძახით, ვერაფერს ურევენ. ეს ღვინო უნდა იყოს ნამდვილი ყურძნის წვენი, თუ გინდა მომჟავოც იყოს, მაინც ძალიან სწამს ჩვენს ხალხს. ბევრჯერ მინახავს და გამიგონია, რომ ტფილისის სირაჯხანაში, რაც უნდა კარგი ნაცნობ-მეგობარი სირაჯი გყავდეს და მოსთხოვო ნამდვილი კახური ღვინო ფასად, იქნებ შენ კი არ გიჩვენოს და იმავე დროს, თუ ზედაშედ ვინმემ ითხოვა ღვინო, სიხარულით და უფასოდ აძლევს საზედაშედ ნამდვილ ღვინოს. მაგრამ ამასაც ვიტყვი, რომ «ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, როცა გამოცხვა, კარგი გამოცხვაო». დღეს იქნება თუ ხვალ, ადრე თუ გვიან, კახურმა ღვინომ უნდა წაიწიოს წინ და პირველი ადგილი დაიჭიროს რუსეთში, რომლისაც თითქოს ნიშნებსაც ვხედავთ.

მღვდელ-მონაზონი ტარასი.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 აგვისტო.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის ალექსეევისა მისს უდიდებულესობასთან 11 აგვისტოს თარიღით: «უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ მივიღე შემდეგი მოხსენება გენერალ სტესსელისა პორტ-არტურიდან 6 აგვისტოს: «6 აგვისტოს, დილის $4^1/_2$ საათიდან, იაპონელებმა დაიწყეს იერიში უგლოვოის მთისა; ძლიერად ესროდნენ ყუმბარებს ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ფრონტების სიმაგრეებს იმ ბატარეებიდან რომელიც მგლის მთაზეა გამართული. სიუიშანისა და მთლად ლუნხეს ხეობაზე იაპონელნი აკეთებენ ღრმა თხრილებსაო».

**პეტერბურგი.** მემკვიდრე ცესარევიჩი ჩაირიცხა გვარდიის ეკიპაჟში.

**ზარაისკი.** 11 აგვისტოს მოასვენეს გვამი გენერალის გრაფ კელლერისა დასაკრძალავად თავის მამულში—სენნიცაში.

**ნოვომოსკოვსკი.** საბჭომ დაადგინა, მომავალ ვაჟთა პროგიმნაზიას დაერქვას სახელი მემკვიდრე ცესარევიჩისა და ღარიბ მოქალაქეთ აპატიოს დარჩენილი გადასახადი.

**ლონდონი.** (რეიტერი). ხმაა, სიტში იმ კაცთა შორის, რომელნიც მისდევენ ვაჭრობას, დიდი აღელვებაა იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკის წყლებზე რუსის კრეისერები გაჩნდნენ. დიდძალი გემებია ეხლა ინგლისისა გამგზავრებული იაპონიასა და ჩინეთს საქონლით, რომელიც, რუსების შეხედულობით, კონტრაბანდაა, თუმცა გემის პატრონებმა განაცხადეს, ჩვენ ჩამოვართვით ხელ-წერილი მყიდველებს რომ ყველა ეს საქონელი სამშვიდობო საქმისათვის არის დანიშნულიო, მაგრამ ეს არ მიაჩნიათ საკმაოდ.

**ბორისოგლებსკი.** საბჭომ დაადგინა, მემკვიდრის დაბადების გამო გამოეცხადოს მათ უდიდებულესობათ უქვეშევრდომილესი მილოცვა, აპატიოს ხალხს «ნედოიმკა» 500 მან. და 28 მოსწავლეს სამრეწველო სკოლებისას სწავლის ფული აპატიოს.

**ტოკიო.** (რეიტერი). იაპონელები განუწყვეტლივ ესვრიან პორტ-არტურს ყუმბარებს. ელიან დიდ იერიშსა.

**შანჰაი.** (რეიტერი). ხმაა, რაკი ოთხი დღე კიდევ მისცეს რუსის გემებს ვადა, იაპონიის პეკინელმა ელჩმა ურჩია თავის მთავრობას, ძლიერი ღონისძიება იხმაროსო.

**ლონდონი.** (რეიტერი). როგორც გემთა კამპანია «ენკორლეინი» იუწყება ამ კამპანიის გემი «აზია» მიდიოდა საქონლით დატვირთული კალკუტას, მივიდა პორტ-საიდს და აუწყა, 60 მილზე ვინცენტის კონცხიდან აღმოსავლეთად, ის შეიპყრო კრეისერმა «ურალმა», რომელმაც გასინჯა ქაღალდები და საქონელი.

**სოფია.** მხცოვანმა დამსწრეებმა განმათავისუფლებელ ომისამ გადაიხადე შიპკის დაცვის წლის თავის დღესასწაული.

**ლხასსა.** (რეიტერი). დალაი-ლამა დორჟიევის თანხლებით გაიქცა მონგოლიისკენ.

**პეტერბურგი.** უქვეშევრდომილესი დეპეშა კონტრ-ადმირალის თავადის უხტომსკისა პორტ-არტურიდან: „მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ 28 ივლისს მთელი ესკადრა—ჯავშნოსნები: «ცესარევიჩი», «რეტვიზანი» «პერესვეტი», «პობედა», «პოლტავა», და «სევასტოპოლი», კრეისერები—«ასკოლდი», «დიანა», «პალადა» და «ნოვიკი» და 8 ნაღმოსანი, გამოვიდნენ, პორტ-არტურიდან ვლადივოსტოკისაკენ. მშვიდობიანად გავიარეთ ნაღმით ჩახერგილი ადგილი, მაგრამ 20 მილზე შეგვხვდა იაპონიის ესკადრა, რომელსაც შევებრძოლეთ. ბრძოლამ საათ-ნახევარი გასტანა და ჩვენ ზიანი არ მოგვსვლია. 5 საათზე მტერმა განაახლა ბრძოლა, რომელმაც გასტანა $7^1/_2$ საათამდე. ბრძოლის შემდეგ «ცესარევიჩს ეტყობოდა საჭე დაუზიანდა, ჩასცდა გემებს და გვანიშნა: «ადმირალი უფროსობას სტოვებსო». რადგანაც ჯავშნოსან «პერესვეტზე» სანიშნებელი, როგორც დღისა, ისე ღამისა, დაამტვრიეს, მე მოვაბი ნიშანი ხიდის ბოძებსა: «მომყევით მე». ვიფიქრე, ყველა გემები ვერ წაიკითხავენ ამ ნიშანსა და რადგან ბევრი დახოცილნი და დაჭრილნი იყვნენ და ძალიან ეზიანდა არტილერია, გადავწყვიტე პორტ-არტურს დაბრუნება. მე გამომყვნენ ჯავშნოსნები: «რეტვიზანი», «პობედა», «პოლტავა», «სევასტოპოლი» და «ცესარევიჩი» და კრეისერი «პალადა». ცესარევიჩმა სიარულს უკლო, ამასობაში დაბნელდა; მუდამ ნაღმოსნებს იერიში მოჰქონდათ, ამათ მოსაცილებლად ადგილს ვიცვლიდი დროებითა, სიბნელეში გემები ერთმანეთს ჩამოსცილდნენ და გათენებისას პორტ-არტურს მივიდნენ «რეტვიზანი», «სევასტოპოლი», «პერესვეტი», «პობედა» და «პოლტავა» და კრეისერი «პალადა» და სამი ნაღმოსანი. ბრძოლის დროს დაიხოცნენ ლეიტენანტი სალტანოვი და მიჩმანი ბორის დელივრონი და მძიმედ დაიჭრნენ 1-ლ რანგის კაპიტანი, ბოისმანი რომელიც ხიდზე 20 საათს დარჩა, მინამ გემი ბასეინში შევიდოდა, და ლეიტენანტი რიკოვი. სულ მოკლულია 38 ჯარის-კაცი, დაჭრილია 21 აფიცერი და 286 ჯარის-კაცი, ამათგან ორმოცდა-ათი მძიმედ. გემებს ვაკეთებთ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა იაპონელთა ოთხი პირველ რანგის ჯავშნოსანი, ერთი მეორისა, ოთხი ჯავშნიანი კრეისერი, 5 მსუბუქი კრეისერი და 50 ნაღმოსანი. მე, კონტრ-ადმირალის ვიტგეფტის შემდეგ, მივიღე ესკადრის უფროსობა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს უდიდებულესობას».

«ნოვიკის» უფროსის მოხსენება მისს უდიდებულესობას: «28 ივლისს, ბრძოლის შემდეგ, რომლის დროსაც კრეისერი სამგან გახვრიტეს, გავარღვიე მტერი «ასკოლდთან» ერთად, მაგრამ ეს უკანასკნელი გადამცდა გზაში სიბნელისა გამო. 29 ივლისს ნახშირისათვის კიაოს მიველ, 30-ს იაპონიას გარს შევუარე და მიველ ვლადივოსტოკში; 7 აგვისტოს კორსაკოვს მიველი, წავიღე ნახშირი და იმავე დღეს, საათის ოთხზე ნაშუადღევისას, შევნიშნე, მტრის კრეისერის მოახლოვება, ავიკრიბე ღუზა და 15 საათსა და 15 წუთზე შევებრძოლე. ამ დროს «ნოვიკი» სამგან გაიხვრიტა წყალ-ქვეშ და ორიც წყალს ზემოდ და საჭეს განყოფილება წყალში ჩავიდა. მტრის დაზიანებულმა კრეისერმა ბრძოლას თავი მიანება და დეპეშას ჰგზავნიდა. რადგანაც ექვსი ქვაბი-ღა დამრჩა და საჭეც დამიზიანდა, დავბრუნდი კორსაკოვს, რომ დამეთვალიერებინა გემი და ღამე წავსულვიყავ, მაგრამ რადგან შეუძლებელი გახდა საჭეს გამართვა და მტრის რამდენიმე კრეისერი მდარაჯობდა, გადავწყვიტე კრეისერი ჩამეძირნა. აფიცრები და კომანდა ნაპირს გადავიყვანეთ. 8 აგვისტოს «სუმას» მიაგვარი კრეისერი წყალზედ დარჩენილ კრეისერის ნაწილს ზარბაზნებს ესროდა. 28 ივლისს ბრძოლაში მოჰკლეს 2 ჯარის-კაცი და მსუბუქად დაიჭრა ექიმი ლისიცინი. 7 აგვისტოს 2 ჯარის-კაცი მოჰკლეს, მსუბუქად დასჭრეს ლეიტენანტი შტერი და 14 ჯარის-კაცი, მძიმედ ორია დაჭრილი.

13 აგვისტო.

**ტოკიო.** (რეიტ. სააგ.). კატაოკის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ გუშინ ჯავშნოსანი «სევასტოპოლი» პორტ-არტურიდგან გავიდა, ნაღმს წააწყდა მარჯვენა, გვერდზედ გადაიხარა და ისევ ნავთსადგურში შეიყვანეს.

**შანჰაი.** (რეიტერი). რუსეთის მთავრობამ ბრძანება გამოჰგზავნა, იარაღი ახსნან «ასკოლდსა» და «გროზოვოის».

**ლასპალმასი.** (რეიტერი). მეთევზეები ამბობენ, სამს რუსის კრეისერზე ქვა-ნახშირი გადააქვთ გერმანელთა გემ «ვალეზია»-დგან, ჟუბის კონცხის გასწვრივო.

**ტოკიო.** (რეიტერი). კრეისერ «ნოვიკის» ბრძოლის დაწვრილებითი ცნობა. აქ ლაპარაკია იმის გამო, რომ «ნოვიკი» და «ცუსიმა» ერთმანერთს შეებნენ. მთელი ერთი საათი იბრძოლეს. შემდეგ «ნოვიკი» კორსაკოვის ნავსადგურისკენ წავიდა. „ნოვიკმა“ თავის ყუმბარით «ცუსიმა» დააზიანა და აიძულა უკან წასულიყო შესასწორებლად. მეორე დღეს «ჩიტოზემ» მიაგნო «ნოვიკს», რომელიც ნაპირას იყო გვერდ დახრილი, და ერთი საათი ყუმბარებს ესროდა.

**ტოკიო.** (რეიტერი). იაპონიის კრეისერებმა «ჩიტოზემ» და «ცუსიმამ» შაბათს, 7 აგვისტოს, კორსაკოვის ნავთსადგურში იერიში მიიტანეს კრეისერ «ნოვიკზე», რომელიც იძულებული შეიქმნა ნაპირთან გარიყულიყო.

**ტოკიო.** (რეიტერი). კრეისერი «ნოვიკი» ცხარედ შეებრძოლა მსწრაფლ-მავალ კრეისერებს „ჩიტოზეს“ და „ცუსიმას“, რომლებსაც შემდეგ გაექცა. «ჩიტოზეს» კომანდირი იუწყება, 7 აგვისტოს, შუადღის შემდეგ, «ნოვიკზე» იერიში მივიტანეო. დღეს ნოვიკი თითქმის დაიძირაო. ერთი ყუმბარა «ცუსიმას» მოხვდა. იაპონელებს არავინ დაშავებიათ. «ნოვიკის» დაღუპვამ სხვა და სხვა ნაირად იმოქმედა: თუმცა უხარიანთ მისი დაღუპვა, მაგრამ ბევრს გულწრფელად ებრალება, რადგან ამ ომში «ნოვიკი» ყოველთვის ჩინებულად ჰმოქმედებდა და იაპონელები ალტაცებაში მოჰყავდათ, როგორც თვით გემს, ისე მისს კომანდირსა და მეზღვაურებს.

**ტოკიო.** (ვოლფის სააგ.). მეზღვაურთა კავშირმა მოიწონა პროექტი შესახებ თავისუფალ ფლოტის დაარსებისა. განზრახვა აქვთ 10 ახალი გემი ააგონ, თითო 6000 ტონიანი. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვით, ეღირება 15 მილიონი იენი. ყოველი ოჯახი შესწირავს 11—12 იენს.

**შანჰაი.** (რეიტერი). უსიამოვნო დავი-დარაბის მოსპობამ რუსეთის სამხედრო გემთა გამო საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია. «ასკოლდი» და «გროზოვოი» ჩაუშვებენ ღუზას და «მანჯურის» გვერდით დადგებიან.

**ჩიფუ.** (საკ. კორესპ.). პორტ-არტური შეუპოვრად და მედგრად განაგრძობს ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. გავიდა ათი რიცხვი ამ თვისა და პორტ-არტური, არამც თუ არ მიეცა მტერს, არამედ განზედ გასწია თვისი სიმაგრენი. არტურში ახლა ყველა საქმიანობაშია. არას დროს ისე არა ყოფილან აღფრთოვანებულნი სულით, როგორც ახლა, როცა იაპონელებს ესოდენი ზარალი მოუვიდათ. ამ ზარალს 65,000 კაცს აღრიცხავენ. ასეთმა ზარალმა ფრთა შეაკვეცა იაპონელთა მედგრობასა და აღტყინებას, ხოლო რუსთა ჯარნი განამტკიცა სულით და გამოაბრძმედა, გააფოლადა. უკანასკნელს დღეებში იაპონელთა ოპერაციებს ავდრიანობა და წვიმები უშლის ხელს. სდგება ახალი ხანა ლაშქრობისა, როცა კუროპატკინს შეეძლება, წვიმების გათავების შემდეგ, თვით შეუდგეს მოქმედებას. ძალიან მარჯვედ არიან პორტ-არტურთან რუსთა რაზმნი, ნება-ყოფლობით შემდგარნი მტრის შესაწუხებლად. ღამე გამოდიან ციხიდან, ესხმიან თავს იაპონელებს და მით მეტად ჰლალავენ. იაპონელთა უკანასკნელი იერიში 10 აგვისტოსი დასრულდა დიდის ზარალით მათთვის. კვლავ დაჰკარგეს რამდენიმე ათასი კაცი.

**ლონდონი.** (რეიტერი) სავაჭრო პალატის კრებაზედ ასეთი გადაწყვეტილება დაადგინეს: «კრებას ფრიად საშიშრად მიაჩნია მდგომარეობა ვაჭრობისა, თუ კონტრაბანდას ისე ვუყურეთ, როგორც რუსეთს ესმის. ამიტომ იმედია, რომ ინგლისის მთავრობა მიიღებს ღონისძიებას და უზრუნველ-ჰყოფს ინგლისის გემთათვის ისეთსავე უფლებას ხელ-შეუხებლობისას, რათა რუსეთის გემებმა არ შეაჩერონ ხოლმე, როგორც აქვთ სხვა დიდთა სახელმწიფოთა გემებს.

**ხარკოვი.** დაიწყო მოძრაობა ეკატერინის მეორე გზაზედ. მანძილი მისი 600 ვერსია. ახალს გზას დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. იწყება დონის ბასსეინში, მიდის ქვა-ნახშირიან მადნებზედ, სჭრის მარიუპოლის გზას და მიდის ნოვოროსიის სოფლებ შორის დნეპრს იქიდან ნიკოლსკის შავი-ქვის მადნებისაკენ. პირველი გზა გაკეთდა 20 წლის წინად იმ ვარაუდით, რომ ეზიდნათ 60 მილ. ფუთი და ახლა-კი ეზიდება წელიწადში ერთს მილიარდსა ას მილიონს ფუთს.

**პეტერბურგი.** ჩარიცხულ იქმნენ: ინფანტერიის გენერალი გრაფი ტატიშჩევი — სახელმწიფოს რჩევის წევრად; ციმბირის მესამე კორპუსის კომანდერი გენერალ-ლეიტენანტი სტესსელი—გენერალ-ადიუტანტად; აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა პოლკების კომანდირები: მე-24-სა პოლკოვნიკი ლეჩინსკი და მე-26-სა პოლკოვნიკი სემენოვი—ფლიგელ-ადიუტანტებად; სამთავენი თავის თანამდებობაზედ დარჩებიან; ინჟინერ-გენერალი რერბერგი—სახელმწიფო რჩევის წევრად; ზაბა-

კალის განსაკუთრებულ ყაზახაა ბრიგადის კომანდერი გენერალ-მაიორი მიშჩენკო—მის უდიდებულესობის ამალაში. ზაბაიკალის ყაზახთა პირველ ბატარეის ჯარის უხუცესი გავრილოვი—ფლიგელ-ადიუტანტად; ორთავენი თავის თანამდებობაზედ დარჩებიან.

**მუკდენი.** 12 აგვისტო. (საკ. კორ.). ამბობენ, იაპონელებმა ჩამოართვეს კორეველებს მთელი ამ წლის შემოსავალი და ძალად მიჰყავთ ხალხი თავის ჯარში. ჩრდილო-კორეის მცხოვრებნი დიდს გაჭირვებაში არიან. მრავალნი სოფლებსა სტოვებენ და მთაში იხიზნებიან. იაპონელების ჯარში აღმოსავლეთის მხარეს უწლოვანები და მოხუცებიც ურევიან, მიუღიათ აგრედვე ჩინელები და კორეველები. როგორც ეტყობა, იაპონელები ჯარის სიმრავლეს მისდევენ, თუნდ უვარგისიც იყოს. ბოლოს დროს კარგი დარი დაიჭირა. ორთავ მოწინააღმდეგეთა ჯარები ერთმანერთთან კავშირს არა სწყვეტენ და, როგორც ეტყობა, დიდი ომი მალე უნდა მოხდეს.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
10 აგვისტოს 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,91½ |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,70 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92⅛ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89¼ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ.-ბილ. 1864 წ. | 386½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 298 ნის. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 255¾ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87½ წვ. გაყ. |

---

## სია

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავადმყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი,** ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი,** ალექსანდრე გიორგის ძე. 10 საათ.—11½ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი,** ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის სავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი,** ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი,** მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი,** იოსებ მათეს ძე დილის 10 ს.—11½ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი,** ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—11½ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი,** მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი,** ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი,** ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 6 ს.—8 საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი,** ნიკოლოზ დავითის ძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი,** არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი 7½—8½ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა,** ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.

---

# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
**ს. ბ. თოფურიას**
## სამკურნალოში,

**რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანეთიდან 3 მანეთამდე.

---

ქუთაისის ქალაქის წყლისა და ელექტრონულ ტრამვაის გამყვან საზოგადოების

ს ა მ თ ო ი ნ ჟ ე ნ ე რ

**ა. დ. მიხაილოვის და ამხ.**
## გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 22 აგვისტოსათვის 1904 წლისა, დილის 10 საათზედ, ქუთაისში, გამგეობის სადგომში, ტფილისის ქუჩაზედ, ანანოვის სახლში, დანიშნულია

**საერთო საზოგადო კრება**

ამხანაგობის პაის პატრონებისა.

განსახილველი საგნები: 1) ბალანსი 1 აგვისტოსათვის 1904; 2) გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეთა მდგომარეობის შესახებ და 3) გამგეობისავე მოხსენება იმის შესახებ, რომ ან შემდეგისთვის მოეწყოს საქმეთა მდგომარეობა, ანუ გადაეცეს სხვას. (3—6—3).






# იყიდება

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყვიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლკარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა ქ. ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **გრიგოლ კორინთელთან.** (5—5).

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი (40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდგან — 39 დანიშნულია გარედან მოსიარულებისათვის და 1 სასაზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანტორისაგან,** ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლის თანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა- 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება- დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც

(17—6—17)

---

## ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელის კურსისა 60 მან.

სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

**ადრესი:** ტფილისი, **ალ. გ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დამ 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8 დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანავე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ.

(14—266—5). ალ. გ. საათაშვილი.

---

გამოვიდა ð ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

# ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თ ა რ გ მ ა ნ ი გ რ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი დაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი
# სტამბა
ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებულიყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფ ა ს ი ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი.

---

საუკეთესო სააგარაკო ადგილები
# ზედ სურამის მახლობლად
მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,
# იყიდება
იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.
იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

---

ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი ს კ ო მ პ ა ნ ი ა
# „ნადეჟდა“
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მირითადი თანხა** | 1.650.000 მან. |
| **სათადარიგო თანხ** | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან უოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, აირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6—46)

---



Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи